ოქმი N9

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 22 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. გოჩა სიჭინავა
2. იგორ გოგოლაძე
3. მალხაზ ლაგვილავა
4. კახა ლატარია
5. ფრიდონ შონია
6. ბეჟან ქირია
7. ალექსანდრე ნაჭყებია
8. გენადი ზარანდია
9. გენადი ქამანაია

სხდომას თავმჯდომარეობდა გ. სიჭინავა - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 21 სექტემბრის N06/1623 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის“ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 21 სექტემბრის N06/1623 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის“ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის“ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლების შეწყვეტა, რადგან სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე გამგეობის მიერ განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, (ს/კ 45.07.25.009) მდებარე ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყოფილი პროფესიული სასწავლებლის ტერიტორიაზე, გაყოფა სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მიზნით. აღნიშნული მიწა სახელმწიფოს მიერ შემდგომ სარგებლობის უფლებით გადაეცემა სსიპ პროფესიული კოლეჯს „ფაზისი“. მომხსენებელმა სთხოვა კომისიის წევრებს გამოეთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა სიჭინავა